ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia

№ _____ 30. 08. 2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება N237-ს

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის; ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 29 ივლისის N15-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის სერგო ვარდოსანიძის შვებულებისა და მოსი დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ"; უნივერსიტეტის `სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 22-ე მუხლის; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა (სკოლების დეკანების - ლევან ჯიქიასა და ლევან ქისტაურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის** სემესტრში უნივერსიტეტში შიდა მობილობისთვის:

ა) გამოცხადდეს ვაკანსიები დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) განისაზღვროს პროცესის ადმინისტრირებისთვის ვადები დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) დადგინდეს შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დამაზ ვაჩაძე

შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) სამართალი - 5 ადგილი;
      ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები - 80 ადგილი;
      ა.გ) ისტორია - 5 ადგილი;
      ა.დ) ქართული ფილოლოგია - 5 ადგილი;
   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ბ.ა) სამართალი - 5 ადგილი;
      ბ.ბ) საჯარო მმართველობა - 5 ადგილი;
      ბ.გ) ქართული ფილოლოგია - 5 ადგილი;
      ბ.დ) საქართველოს ისტორია - 5 ადგილი;

2. ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში
   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:
      ა.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 ადგილი;
      ა.ბ) ტურიზმის ბიზნესი - 10 ადგილი;
      ა.გ) ეკონომიკა - 10 ადგილი;
      ა.დ) ფსიქოლოგია - 10 ადგილი;
      ა.ე) კომპიუტერული მეცნიერება - 10 ადგილი;
   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე
      ბ.ა) ბიზნესის ადმინისტრირება - 10 ადგილი;
      ბ.ბ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 10 ადგილი;
      ბ.გ) კომპიუტერული მეცნიერება - 10 ადგილი;

შენიშვნა: შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის წლიური საფასური განესაზღვრებათ მოცემულ პროგრამისთვის შესაბამისი დადგენილი ოდენობით, კერძოდ:

ა) ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარდა სამართლის და საჯარო მმართველობისა შეადგენს 2250 ლარს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბ) სამართალი - 2900 ლარს;

გ) საჯარო მმართველობა - 2750 ლარს;

დ) სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია - 2500 ლარს;

ე) ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება - 3500 ლარს

ვ) კომპიუტერული მეცნიერება - 3350 ლარს

გ) უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში სტუდენტებს სწავლის საფასური განესაზღვრებათ უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 5 აგვისტოს №18 ბრძანებით 'ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021– 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხულთათვის ერთჯერადი საშეღავათო პირობების განსაზღვრის შესახებ" პირობების გათვალისწინებით.

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) – 2021 წლის 13 – 23 სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება, ,სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება- 2021 წლის 14 – 24 სექტემბერი;

გ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2021 წლის 25 სექტემბერი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 27 სექტემბერი;

შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (შემოთავაზებული ფორმით););

ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული);